

## ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, (შემდგომში - ჟურნალი), წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“-ს (შემდგომში - ინსტიტუტი) სტრუქტურულ ერთეულს, სადაც ქვეყნდება სამართლის თემატიკის სამეცნიერო სტატიები აქტუალურ საკითხებზე;
2. ჟურნალში გამოქვეყნება მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ გამოქვეყნებას;
3. ჟურნალი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან, ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან, იურისტებთან;
4. ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე დაცულია ყველა მატერიალური, თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

#### მუხლი 2. ჟურნალის მიზნები და ამოცანები

1. ჟურნალის მიზანია სამართლის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა განსაკუთრებული სამეცნიერო კვლევებისა და მიღწევების წარმოჩენა და ჟურნალში გამოქვეყნების გზით მათი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა;
2. ჟურნალის ამოცანაა საერთაშორისო დონეზე მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის მოპოვება და იმ ნიშის დაკავება, რაც საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო ტრადიციების ჟურნალებს უკავიათ;
3. ჟურნალი იცავს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ეთიკას;
4. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე ვრცელდება ღია წვდომის პოლიტიკა, რაც გულისხმობს ვებ-გვერდზე მის საჯარო გავრცელებას, ასევე ბეჭდური ვერსიის ბიბლიოთეკებისთვის გადაცემას.

#### მუხლი 3. სარედაქციო კოლეგია

1. ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალის პოლიტიკას;
2. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია შედგება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი მეცნიერებისაგან, სამართლის დარგში აღიარებული აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკოსი იურისტებისაგან, რომელთაც აქვთ შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები სამართლის დარგში, ფლობენ მაღალ პრაქტიკულ და თეორიულ კვალიფიკაციას და არიან აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები;
3. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
4. სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეხედულება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის სამეცნიერო პოზიციებს, გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი ;
5. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე ;
6. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების დარღვევა, სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან, ხოლო ავტორს გარკვეული ვადით შეუზღუდოს ჟურნალში გამოქვეყნების უფლება.

#### **მუხლი 4. მთავარი რედაქტორი**

1. ჟურნალის საქმიანობას ხელმძღვანელობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი;
2. მთავარი რედაქტორი ანაწილებს მოვალეობებს სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
3. მთავარი რედაქტორი ჟურნალს დამოუკიდებლად წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

#### **მუხლი 5. რედაქტორი**

1. ჟურნალს ჰყავს რედაქტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან და ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი;
2. ჟურნალის რედაქტორი:
  - 1) ხელს უწყობს მთავარ რედაქტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

- 2) მთავარ რედაქტორთან ერთად არჩევს რეცენზენტებს და აგზავნის ფარულ რეცენზიებზე სტატიებს;
- 3) ორგანიზებას უწევს სარედაქციო საბჭოს წევრების პერიოდულ შეკრებას, ჟურნალის შემდგომი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით;
- 4) კოორდინაციას უწევს ჟურნალის ტექნიკურ რედაქტირებას.

## **მუხლი 6. ტექნიკური რედაქტორი**

1. ჟურნალს ჰყავს ტექნიკური რედაქტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი;
2. ტექნიკური რედაქტორი:
  - 1) ახდენს მიღებული სტატიების ტექნიკური ხარვეზების დადგენას;
  - 2) უკავშირდება ავტორებს ელექტრონული და სატელეფონო საშუალებით და აცნობს მათ დადგენილი ხარვეზების და სტატიის შემდგომი მსვლელობის შესახებ;
  - 3) მართავს ჟურნალის სოციალურ ქსელს ;
  - 4) მონაწილეობს სტატიების დამუშავების პროცესში და აღმოფხვრის ყველა ტექნიკურ ხარვეზს;
  - 5) მთავარი რედაქტორის, რედაქტორის დავალებებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 5. სტატიის გამოქვეყნების წესები და პირობები**

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მიიღება სტატიები, რომლებიც შეიცავენ მეცნიერული სიახლის ელემენტებს და ეხებიან სამართლის თემატიკას;
2. წარმოდგენილი სტატიები არ უნდა იყოს გამოქვეყნებული მსოფლიოს არცერთ სამეცნიერო ჟურნალ-გამოცემაში;
3. სტატიები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სახით;
4. დასაბეჭდად მიიღება აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოსი იურისტების ნაშრომები. გამონაკლის შემთხვევებში, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია ასევე სამართლის სპეციალობის სტუდენტის ნაშრომის გამოქვეყნება;
5. შემოსული სტატია გადის პლაგიატის (კონტენტის უნიკალურობის) შემოწმებას Turnitin - ის პროგრამის მეშვეობით, რომლის შემდეგაც გადაეგზავნება რეცენზენტებს;

6. პლაგიატის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში სტატია არ გამოქვეყნდება, ხოლო სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, პლაგიატის წარმოდგენ ავტორს, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, შემდგომში შეიძლება გარკვეული ვადით შეეზღუდოს ჟურნალში სხვა სტატიის გამოქვეყნების შესაძლებლობა;
7. სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში ნაშრომი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მკითხველისთვის და ამის თაობაზე ავტორთან რაიმე დამატებითი წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო.

## მუხლი 6. ფარული რეცენზია

1. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნდება მხოლოდ სავალდებულო წინასწარი ფარული რეცენზირების შემდეგ;
2. ფარული რეცენზენტი შეიძლება იყოს როგორც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ასევე სხვა პირი (მინიმუმ სამართლის დოქტორი აღნიშნულ დარგში);
3. სტატია დაიბეჭდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი ნაშრომს თითოეული კომპონენტის მიხედვით შეაფასებს დადებითად (მინიმუმ 70 ქულა) რეცენზენტის შეფასების ფორმის შესაბამისად; შეფასების ფორმა გადაეგზავნება რეცენზენტს სტატიასთან ერთად;
4. რეცენზირება არის სრულიად ანონიმური, რეცენზენტმა და ავტორმა არ იციან ერთმანეთის ვინაობა;
5. სტატიის გამოქვეყნებისათვის აუცილებელია ორი პირის რეცენზია;
6. რეცენზენტს ირჩევს ჟურნალის რედაქტორი, მთავარ რედაქტორთან ერთად.

## მუხლი 7. ავტორისთვის სავალდებულო მოთხოვნები

1. აუცილებელია ნაშრომის გადმოცემის აკადემიური სტილის დაცვა, ციტირების ობიექტურობა, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებული და დამკვიდრებული მეცნიერული სტილის წარმოჩენა;
2. სტატია წარმოდგენილ უნდა იქნას „სამეცნიერო სტატიის გაფორმების სავალდებულო ფორმატი“-ს შესაბამისად. აღნიშნული ფორმატი განთავსდება ჟურნალის ვებ-გვერდზე სათაურით - ავტორთათვის;
3. ავტორმა (ავტორებმა) სტატიასთან ერთად უნდა გამოაგზავნოს ან წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტის მისამართი;
4. ჟურნალის გამოქვეყნებამდე ავტორი ვალდებულია ჟურნალს აცნობოს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში

ნებისმიერი შეტყობინება გაიგზავნება თავდაპირველ ელექტრონულ მისამართზე ან ტელეფონზე და ჩაითვლება ჩაბარებულად;

5. ჟურნალი ახდენს ნაშრომის გრამატიკულ კორექტირებას. რედაქტირებული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა რედაქტირებული ნაშრომის მისთვის გაგზავნიდან სამი კალენდარული დღის ვადაში (შესაძლებელია თანხმობა ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც);
6. თუ დადგენილ ვადაში თანხმობა არ იქნება ავტორისგან მიღებული, სარედაქციო კოლეგია შეაჩერებს სტატიის დაბეჭდვას ან დაბეჭდავს ავტორის თანხმობის გარეშე;
7. სტატიის მოწოდება ხდება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნით: [info@lawandworld.ge](mailto:info@lawandworld.ge) მითითებით „სამეცნიერო სტატია“;
8. ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი თავად დაუკავშირდება სტატიის ავტორს (რამდენიმე ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიის შეთხვევაში კი ერთ-ერთ ავტორს).

#### მუხლი 6. სტატიის წარმოდგენის ვადები

1. წელიწადში გამოიცემა ჟურნალის ორი ნომერი მაისის თვეში და დეკემბრის თვეში.
2. შესაძლებელია დამატებითი ან სპეციალური ნომრის გამოცემა წლის ნებისმიერ დროს;
3. ჟურნალის ახალი ნომრის ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდზე იტვირთება მაისი/დეკემბრის ბოლო რიცხვი, ხოლო ბეჭდური ვერსია შესაძლებელია გამოიცეს მოგვიანებით, მაგრამ არაუმეტეს ორი კვირისა ელექტრონული ვერსიის გამოქვეყნებიდან;
4. სტატიის წარმოდგენის ვადებს აცხადებს მთავარი რედაქტორი;

#### მუხლი 7. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. ჟურნალი თანამშრომლობს და აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა ფართო წრეებთან.
2. ჟურნალში დაიბეჭდება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების სტატიები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, და რუსულ ენებზე (ინგლისური რეზიუმეს და ინგლისურ ენაზე ნათარგმნი გამოყენებული ლიტერატურისა და შენიშვნების თანხლებით).

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს, ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილებით, მთავარი რედაქტორის წარდგენის საფუძველზე;
2. ჟურნალის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ინსტიტუტი, ინსტიტუტის დამფუძნებლის და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.
3. ჟურნალის ლიკვიდაცია ხდება ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით.